სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო

## ბაზრის კვლევის მოდული

## ახალი ბაზრის კვლევის გამოცხადება - (შემსყიდველი)

ბაზრის კვლევის გამოცხადებისათვის, თქვენ უნდა გადახვიდეთ სისტემაში ბაზრის კვლევის მოდულში. ისე როგორც მოცემულია ქვემოთ სურათზე.




**„ბაზრის კვლევა“** ღილაკზე დაჭერის შემდგომ მომხმარებელს გამოუჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა. სადაც დაგხვდებათ კარგად ნაცნობი ძებნის მენიუ და ღილაკი **„ახალი ჩანაწერი“**.



გამოიყენეთ ღილაკი **„ახალი ჩანაწერი“**, ახალი ბაზრის კვლევის პროექტის შესაქმნელად.




აღნიშნულ ღილაკზე დაჭერის შემდგომ მომხმარებელს გამოუჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა.



შესყიდვის პროცედურის ველში შეგიძლიათ აირჩიოთ: **„გამარტივებული შესყიდვა“**, **„ელექტრონული შესყიდვა“** ან **„სხვა“**.




შესყიდვის პროცედურის განსაზღვრის შემდეგ, უნდა შეავსოთ ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაო ველები, რომლებიც შესყიდვის პროცედურის სამივე ტიპის შემთხვევაში იდენტურია.

თუ თქვენი ბაზრის კვლევა ეხება მათ შორის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენას, გთხოვთ მონიშნული დატოვოთ სურათზე ნაჩვენები უჯრა.



კლასიფიკატორის (CPV) კოდის ასარჩევად დააჭირეთ ღილაკს **„შერჩევა“**.




ღილაკზე **„შერჩევა“** დაჭერით სისტემა ეკრანზე გაჩვენებთ კლასიფიკატორის კოდების იერარქიულ ჩამონათვალს, რომელთაგან აირჩევთ თქვენთვის სასურველს.




**გახსოვდეთ**
ბაზრის კვლევის გამოცხადებისას, აუცილებელია შესაბამისი შესყიდვის ობიექტის ყველაზე დეტალური CPV კოდის არჩევა. თუ ეს შეუძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას არჩეული უფრო ზედა იერარქიული კატეგორია, ხოლო კონკრეტული შესყიდვის ობიექტის დასახელება უნდა მიეთითოს ველში **„შესყიდვის ობიექტის აღწერა“.**

შესყიდვის ობიექტის აღწერის შემდგომ მიუთითეთ მიწოდების ვადა ტექსტურ ველში და აირჩიეთ დაფინანსების წყარო ჩამოსაშლელი სიიდან.




თუ ბაზრის კვლევას აცხადებთ განსაზღვრული ვადის დაცვით, გთხოვთ მონიშნული დატოვოთ სურათზე ნაჩვენები უჯრა, ხოლო თუ ბაზრის კვლევა ცხადდება შემცირებული ვადით, აღნიშნული უჯრის მონიშვნის მოხსნით გამოჩნდება ტექსტური ველი, სადაც ვალდებული ხართ მიუთითოთ ვადის შემცირების დასაბუთება.



წინადადების წარმოდგენის ვადის მისათითებლად დააჭირეთ ღილაკს და



აირჩიეთ კალენდარში სასურველი დღე და საათი.



ყველა აუცილებელი ველის შევსების შემდგომ დააჭირეთ ღილაკს **„ჩაწერა“.**



შეიქმნა ბაზრის კვლევის პროექტი, რომელიც გამოიყურება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად.



პროექტის **„წაშლა“** ღილაკის დახმარებით შესაძლებელია სისტემიდან განცხადების პროექტის წაშლა.




ღილაკზე „**Choose File**”-ზე დაჭერით, სისტემა საშუალებას მოგცემთ მონიშნოთ თქვენს კომპიუტერში **PDF** ფორმატში შენახული ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია (**თითოეული ფაილის მაქსიმალური ზომა 20 MB**), აღწერის ველში მოკლედ მიუთითოთ თუ რას ეხება ეს დოკუმენტი და ბოლოს, ღილაკზე **„ატვირთვა”** დაჭერით ატვირთოთ არჩეული დოკუმენტი სისტემაში.



ღილაკზე **„რეგისტრაცია"** დაჭერის შედეგად გამოჩნდება გამაფრთხილებელი ფანჯარა.




თუ დარწმუნებული ხართ, რომ გინდათ პროექტის რეგისტრაცია დააჭირეთ ღილაკს **„დიახ"**.



განცხადებას სისტემის მიერ მიენიჭება უნიკალური ნომერი, სტატუსი **„გამოცხადებულია"** და ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა ნახოს ბაზრის კვლევის განცხადება და შესაბამისი წესის დაცვით წარადგინოს საკუთარი წინადადება.




**„რედაქტირება"** ღილაკის დახმარებით შესაძლებელია სასურველი ცვლილებების შეტანა განცხადების პროექტში.



გამოცხადებულია სტატუსის მქონე ბაზრის კვლევის განცხადებაში, საჭიროების შემთხვევაში **„წაშლა/გაუქმება“** ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია ატვირთული დოკუმენტაციის გაუქმება, რის შემდეგაც არჩეულ დოკუმენტს ხაზი გადაესმევა (იხ. ქვემოთ მოცემული სურათი) და მისი გახსნა/ნახვა შეუძლებელი იქნება.




შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს მის მიერ გამოცხადებული ბაზრის კვლევა, ქვემოთ სურათზე ნაჩვენებ ღილაკზე **„შეწყვეტა“** დაჭერით.



ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, თუ დარწმუნებული ხართ, რომ გინდათ ბაზრის კვლევის შეწყვეტა დააჭირეთ ღილაკს **„დიახ“**.




ბაზრის კვლევის შეწყვეტის შემთხვევაში სისტემის მიერ ავტომატურად ხდება საბოლოო სტატუსის **„შეწყვეტილია“** მინიჭება და აღნიშნული სტატუსის მქონე ბაზრის კვლევა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.



**ბაზრის კვლევაში მონაწილეობა - (მიმწოდებელი)**

ბაზრის კვლევაში მონაწილეობის მისაღებად, თქვენ უნდა გადახვიდეთ სისტემაში ბაზრის კვლევის მოდულში. ისე როგორც მოცემულია ქვემოთ სურათზე.




„**ბაზრის კვლევა**“ ღილაკზე დაჭერის შემდგომ მომხმარებელს გამოუჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა. სადაც დაგხვდებათ კარგად ნაცნობი ძებნის მენიუ.



ბაზრის კვლევაში მონაწილეობის მიღების მიზნით, სისტემაში უნდა მოძებნოთ თქვენთვის საინტერესო განცხადება. კონკრეტული განცხადების არჩევის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ განცხადების პირობებს და ატვირთულ დოკუმენტაციას.




მას შემდეგ რაც ბაზრის კვლევას მიენიჭება სტატუსი **„წინადადებების მიღება დაწყებულია“**, პრეტენდენტებს საშუალება აქვთ წარადგინონ მათი წინადადებები. ამისათვის დააჭირეთ **„შეთავაზებები“**-ს ღილაკს.



თქვენი შეთავაზების დასაფიქსირებლად შეავსეთ **„შეთავაზება თანხობრივად“** ველები



და დააჭირეთ ღილაკს **„ჩაწერა“**, ისე როგორც ნაჩვენებია ქვემოთ სურათზე.



ასევე შეგიძლიათ შეავსოთ ველი **„შეთავაზება ტექსტურად“** და



დააჭიროთ ღილაკს **„ჩაწერა“**, ისე როგორც ნაჩვენებია ქვემოთ სურათზე.



თქვენი შეთავაზება გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად.




ასევე ღილაკზე **„Choose File"**-ზე დაჭერით, სისტემა საშუალებას მოგცემთ მონიშნოთ თქვენს კომპიუტერში **PDF** ფორმატში შენახული ბაზრის კვლევისათვის გათვალისწინებული დოკუმენტაცია, აღწერის ველში მოკლედ მიუთითოთ თუ რას ეხება ეს დოკუმენტი

**ყურადღება**

ბაზრის კვლევისათვის გათვალისწინებული დოკუმენტაციის რაოდენობა შეზღუდულია! მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა 20 ფაილია, ხოლო თითოეული ფაილის მაქსიმალური ზომა 20 MB.



და ბოლოს, ღილაკზე **„ატვირთვა"** დაჭერით ატვირთოთ არჩეული დოკუმენტი სისტემაში.




თქვენი ატვირთული შეთავაზების დოკუმენტები სისტემაში გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად.



**ბაზრის კვლევის დასრულება და შედეგები - (შემსყიდველი)**

თუ ბაზრის კვლევა ჩატარებული გაქვთ ასევე სხვა წყაროების მეშვეობით ვალდებული ხართ ატვირთოთ სისტემაში **„სხვა შეთავაზებები / ინფორმაცია“** გვერდზე.



ამისათვის დააჭირეთ ღილაკს **„Choose File"**-ს, სისტემა საშუალებას მოგცემთ მონიშნოთ თქვენს კომპიუტერში **PDF** ფორმატში შენახული ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია **(თითოეული ფაილის მაქსიმალური ზომა 20 MB)**, აღწერის ველში მოკლედ მიუთითოთ თუ რას ეხება ეს დოკუმენტი



და ბოლოს, ღილაკზე **„ატვირთვა”** დაჭერით ატვირთოთ არჩეული დოკუმენტი სისტემაში.




თქვენი ატვირთული ბაზრის კვლევის დოკუმენტები სისტემაში გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად.



მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ სისტემაში ბაზრის კვლევის შესახებ მონაცემები სწორად გაქვთ ატვირთული, ქვემოთ მოცემული სურათის მაგალითზე შეგიძლიათ აღნიშნულ ბაზრის კვლევას მიანიჭოთ სტატუსი **„ბაზრის კვლევა დასრულებულია"**.




აღნიშნულ ღილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, თუ დარწმუნებული ხართ, რომ გინდათ ბაზრის კვლევის დასრულება მონიშნეთ **„ვეთანხმები პირობებს"** და დააჭირეთ ღილაკს **„დიახ"**.



**ყურადღება**

ბაზრის კვლევისათვის სტატუსის **„ბაზრის კვლევა დასრულებულია"** მინიჭების შემდგომ ცვლილებების შეტანა შეუძლებელი იქნება.

საბოლოო სტატუსის **„ბაზრის კვლევა დასრულებულია"** მინიჭების შემდგომ, შეგიძლიათ იხილოთ პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული წინადადებები **„შეთავაზებები"**-ს გვერდზე.

